ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181413630**

თარიღი: **21.05.2018**

ადრესატი:
შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405169598
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ., №6გ

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, თქვენი 2018 წლის 27 მარტის, 11 აპრილის და 8 მაისის #10/01180862675-18; #10/01181011746-18; #10/01181282886-18 განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის (ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"ს 2018 წლის 26 მარტის #02-22/91 საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები, ხელშეკრულება საქონლის ნასყიდობის და მომსახურების შესახებ) გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი'') მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, *ვინაიდან შპს ,,მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულას'' საკუთრებაში არსებულ სამშენებლოდ* გამოსაყენებელ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #6ბ ს.კ. 01.14.05.008.082) (მშენებლობის მიზანი დასტურდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება #3050248) განთავსებულია 4 ერთეული #3, #4, #5, #6 დაავადებული, გადაბერებული ალვის ხე (დიამეტრები: 36.0სმ, 56.0-62.0სმ, 65.0სმ, 67.0სმ), 2 ერთეული #8, #10 დაავადებული კანადური ვერხვი (დიამეტრები: 35.0სმ, 37.0სმ) და 1 ერთეული #12 დაავადებული ნეკერჩხალი (დიამეტრი 9.0-21.0სმ), რომლებიც განკურნებას არ ექვემდებარება, ხმობა დიდი ხნის წინ აქვთ დაწყებული, არის ქარქცევადი და საფრთხის შემცველი, რაც ასევე დასტურდება ექსპერტის მიერ, ამდენად, სამსახური თანახმაა მათ მოჭრაზე.

დადგენილების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე გევალებათ, მოჭრილი მწვანე ნარგავების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #6ბ ს.კ. 01.14.05.008.082) აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით განახორციელოთ საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობა, 2018 წლის 8 აპრილის #10/01181282886-18 განცხადებით წარმოდგენილი 2018 წლის 25 და 27 აპრილის ხელშეკრულებით (შესყიდვის და მომსახურების შესახებ) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე -არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს პროექტის შეთანხმების ეტაპზე უნდა წარედგინოს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც შესაძლებელია გადასარგავი ხე-მცენარეების გათვალისწინება.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;
- გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობებს (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე, დიამეტრი);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.

მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისად. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

ხე-მცენარეების გაშენების დროს გასათვალისწინებელია:

მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბებისა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხეების დარგვას ენიჭება უპირატესობა ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი კ3 კოეფიციენტის ათვისება გულისხმობს შესაბამისი ტერიტორიის სრულ ათვისებას ხეებით. განმცხადებელმა გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა და ფართობი უნდა განსაზღვროს შემდეგი პროპორციით- 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის (ხე უნდა განთავსდეს შენობის გარე კედლიდან არანაკლებ 3 მეტრის დაშორებით).

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან- დოკუმენტი ხელმისაწვდომია).

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 14 სანტიმეტრი.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის'' შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი

ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-0118114611**

თარიღი: **24.04.2018**

ადრესატი:
შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405169598
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ., №6გ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 27 მარტის და 11 აპრილის #10/01180862675-18; #10/011810111746-18 განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია (ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"-ს 2018 წლის 26 მარტის #02-22/91 საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები), რომლითაც ითხოვთ შპს ,,მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა''-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #6ბ ს.კ. 01.14.05.008.082) მშენებლობის განხორციელების მიზნით ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი'') მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება'') 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან თქვენს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე ფიქსირდება 4 ერთეული #3, #4, #5, #6 დაავადებული, გადაბერებული ალვის ხე, 2 ერთეული #8, #10 დაავადებული, კანადური ვერხვი და 1 ერთეული დაავადებული ნეკერჩხალი, რომლებიც განკურნებას არ ექვემდებარება, ხმობა დიდი ხნის წინ აქვს დაწყებული, არის ქარქცევადი და საფრთხის შემცველი, რაც დასტურდება ექსპერტის მიერ და არსებითად აფერხებს მშენებლობას, სამსახური გასცემს მათი მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც მიეთითება შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 7 (შვიდი) ძირი 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #6ბ ს.კ. 01.14.05.008.082), ნებართვის მიღებიდან მცენარის პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული ხე-მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

რაც შეეხება 2 ერთეული ჯანსაღი მწვანე ნარგავის გადარგვის საკითხს გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და მათი იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვით შენარჩუნდება ეკოლოგიური ბალანსი, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ხე-მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, სამსახური გასცემს 1 ერთეული #7 კავკასიური აკაკის და 1 ერთეული #11 ჩვეულებრივი იფანის თქვენსავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვას მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ -კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს მიერ მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი მცენარის რაოდენობა არის 4 ერთეული (ლეღვი, ტყემალი, ჭერამი) მათი მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ნებართვის მისაღებად საჭიროა მომზადდეს და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან შეთანხმდეს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც შესაძლოა გაითვალისწინოთ გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

· კ-3 კოეფიციენტის ფართობს;

· გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;

· გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობებს (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე; დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები უნდა აირჩიოთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

· გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;

· გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირს;

· გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.

· შეთანხმებულ გამწვანების პროექტს, რომელიც უნდა იყოს ვიზუალურად გამოსახული მაკეტით ან/და ფოტომონტაჟით;

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი



დენდროლოგიური პროექტი

შპს „ეკო გარემო“

12.02.2018

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru

დენდროლოგიური პროექტი

მისამართი : ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #6ბ

საკადასტრო კოდი : 01.14.05.008.082

მესაკუთრე : შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“

ტერიტორიის მთლიანი ფართობი : 669 კვ.მ

ფუნქციური ზონა : საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1

დადგენილი კ3 კოეფიციენტი : 0.2

გამწვანების ფართობი : 133,8 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 2 ძირი ჭერამი, 1 ძირი იფანი, 1 ძირი აკაკი, 1 ძირი ტყემალი, 1 ძირი ლეღვი.

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :

7 ძირი ალვის ხე (დიამეტრი 14 სმ; სიმაღლე 3,5 მ; ხნოვანება 10 წელი) (ალვის ხე ფოთოლმცვენი, ორსახლიანი ხე ტირიფისებრთა ოჯახის. იზრდება 40 მ-მდე, აქვს ვიწრო პირამიდული ქერქი. ყვავის მარტ-აპრილში, ნაყოფი კი მაისში მწიფდება. მდედრობითი ხეები იშვიათია და ამიტომ კალმით ამრავლებენ. საკმაოდ ყინვაგამძლეა და სწრაფმზარდი. 60-70 წლის ხე წვერხმელობას იწყებს. იყენებ ტყე–პარკების, ქუჩების გასამწვანებლად და ქარსაცავი ზოლების მოსაყობად.

დირექტორი: /მზია ჯიქია/

შპს "ეკო გარემო"

საკომპენსაციო რგვის ფარგლებში
დასარგავი 7 ძირი ალვის ხე

ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები
საექსპერტო დასკვნის მიხედვით

1) ლეღვი
2) ტყემალი
7) კავკასიური აკაკი
9) ჭერამი
11) იფანი
13) ჭერამი




CONSILIUM MEDULLA


CONSILIUM


CONSILIUM MEDICUM
CONSILIUM MEDICUM
CONSILIUM MEDICUM

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

მისამართი : ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #68

საკადასტრო კოდი : 01.14.05.008.082

მესაკუთრე : შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“

ტერიტორიის მთლიანი ფართობი : 669 კვ.მ

ფუნქციური ზონა : საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1

დადგენილი კ3 კოეფიციენტი : 0.2



გამწვანების ფართობი : 133,8 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 2 ძირი ჭერამი, 1 ძირი იფანი, 1 ძირი აკაკი, 1 ძირი ტყემალი, 1 ძირი ლეღვი.

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :
7 ძირი ალვის ხე (დიამეტრი 14 სმ; სიმაღლე 3,5 მ; ხნოვანება 10 წელი)

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: მშენებლობის დასრულებიდან 3 (სამი) თვის ვადაში

მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა: 3 წელი

მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“